სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2012 წლის 1 მარტს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *დიმიტრი საზონოვი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი № 30268/03*

აპლიკანტი დიმიტრი საზონოვი, რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1974 წელს და ცხოვრობს ლენინგრადსკის რეგიონში. 1998 წლის დეკემბერს იგი დააპატიმრეს ყაჩაღობისა და მკვლელობის ბრალდებით. განმცხადებელი ჩივის, რომ 1998-2003 წლებში იგი იმდენად მძიმე პირობებში იმყოფებოდა წინასწარი დაკავების ციხეში, რომ ტუბერკულოზით დაავადდა. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

<u>ანალოგი საქმეები</u>

- *კოლეგოვები რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №15226/05*

აპლიკანტები, რომლებიც ინვალიდთა სავარძელს არიან მიჯაჭვულები, ჩივიან, რომ არ აცნობეს სამოქალაქო სასამართლოში მათი სააპელაციო საჩივრის განხილვის თაობაზე. სააპელაციო საჩივარი ეხებოდა სოციალური უსაფრთხოების სამსახურების მიერ მათთვის სავალი გზის გათების თაობაზე უარს. განმცხადებლები ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. ამას გარდა, ერთ-ერთი განმცხადებელი ჩივის, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა მას არ მისცეს საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, რათა მის წარმომადგენელს გაესაჩივრებინა ევროპულ სასამართლოში.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, ხოლო კონვენციის 34-ე მუხლი – არ დარღვეულა.

<u>გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე</u>

- *კ. ირლანდიის წინააღმდეგ – განაცხადი № 24643/08*

აპლიკანტი დუბლინის სკოლის ყოფილი მასწავლებელია. იგი ჩივის, რომ მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვა გაჭიანურებით მიმდინარეობდა, რომელიც ეხებოდა მის მიერ ამავე სკოლის ხუთი მოსწავლის მიმართ განხორციელებულ სექსუალურ ძალადობას.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.